გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს—მარად ცოცხალ ინტერნაციონალურ მოძღვრებას, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისთვის უველა ქვეყნის მშრომელთა ბრძოლის დროშას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

პროლეტარებო უველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№75 (4069) 16 1970 წ. აპრილი. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

სსრ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

აქ გამოდიოდა ლენინი...

მანქანის მოედანი მარტო ლენინგრადში როდია ცნობილი. აქაა აგებული სსრ კავშირში ერთ-ერთი უდიდესი ზამთრის სტადიონი, სადაც ხშირად ტარდება ქვეყნის ჩემპიონატები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, საერთაშორისო შეჯიბრებები.

მაგრამ შეიძლება ბევრმა არც იცოდეს, რომ ყოფილ მიხეილის მანეუში, რომელიც ახლა დიდ სპორტულ ფორუმებს ემსახურება, ორჯერ გამოვიდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

პირველად ბელადი აქ 1917 წლის 15 (28) აპრილს ჩამოვიდა და ჯავშნოსანი დივიზიონის ჯარისკაცების მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ომის შესახებ. რევოლუციის ბელადმა ამხილა იმპერიალისტური ხასიათი ომისა, რომელსაც ბურუუაზიული დროებითი მთავრობა აგრძელებდა. გაზეთი „სოლდატსკაია პრავდა“ წერდა, რომ ლენინის სიტყვა „წარმოთქმული იყო ისეთი სიმძლავრით, ისეთი სიმართლით იყო გამსჭვალული, რომ კრება დიდხანს ვერ დამშვიდდა, ჯარისკაცებმა კი ამხანაგი ლენინი ხელში აიტაცეს“.

სახელოვანმა რევოლუციურმა ისტორიამ შემოინახა კიდევ ერთი სამახსოვრო დღე, როცა ლენინი მეორედ ეწვია მიხეილის მანეუს. ეს იყო 1918 წლის 1 (14) იანვრის საღამოს. მაშინ ბელადმა გზა დაუულოცა პეტროგრადის წითელი გვარდიის შენაერთს დასავლეთის ფრონტზე გამგზავრების წინ.

ლენინმა თქვა: „ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ვართ ძალა, რომელსაც შეუძლია ყველა დაბრკოლება გადალახოს“.

როგორც „პრავდა“ წერდა, ლენინის სიტყვებს შეკრებილნი აღტაცებით შეეგებნენ. სოციალისტური არმიის მობალისეებმა ინტერნაციონალის სიმღერით ავტომანქანამდე მიაცილეს ბელადი.

მალე ცნობილი გახდა, რომ მანქანას, რომლითაც ლენინი მიხეილის მანეუიდან ბრუნდებოდა, კონტრრევოლუციონერები დაესხნენ თავს და სროლა აუტეხეს. მაგრამ ვლადიმერ ილიას ძე არ დაშავებულა.

... ეწვიეთ დღეს ზამთრის სტადიონს და სიცოცხლით სავსე საბჭოთა ახალგაზრდობას იხილავთ. აქ საუცხოო პირობებია შექმნილი ფიზიკური და სულიერი განვითარებისთვის. საკმარისია ითქვას, რომ მანეუში სისტემატურად ვარჯიშობს დაახლოებით 5000 სპორტის ოსტატი, თანრიგოსანი, მოსწავლე. აქ ხშირად აწყობენ საწვრთნელ შეკრებებს სხვა ქალაქებიდან ჩამოსული სპორტსმენებიც.

მარტო წლეულს ამ უდიდესი სპორტული ბაზის ბილიკებზე და სექტორებში დამყარდა ბევრი საკავშირო მიღწევა დაბურული შენობებისთვის. მათგან ზოგიერთი მსოფლიო რეკორდს სჯობს.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას. მისი ანდერძი წარმატებით ხორციელდება.

ვ. დმიტრიევი.
(ჩვენი კორ.).

ლენინგრადი.

დასახელებულია 40 კანდიდატი

ციურიხში, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას გაეგზავნა მსოფლიოს IX ჩემპიონატის ფინალში სათამაშოდ საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების წინასწარი განაცხადი. სიაში შეევიდა 40 უძლიერესი ფეხბურთელი — ქვეყნის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მონაწილენი.

აი, მექსიკაში გამგზავრების კანდიდატები:

მეკარეები — ა. კავაზაშვილი (მოსკოვის „სპარტაკი“), ე. რუდაკოვი (კიევის „დინამო“), ა. ტკაჩენკო („ზარია“), ლ. შუცი (ცსკა) და ლ. იაშინი (მოსკოვის „დინამო“);

მცველები — ვ. აფონინი (ცსკა), ვ. პრუტი („ნევთჩი“), რ. ძოძუაშვილი (თბილისის „დინამო“), ვ. ზიკოვი (მოსკოვის „დინამო“), ვ. ივანოვი (მოსკოვის „სპარტაკი“), ვ. კაპლიჩნი (ცსკა), რ. კულიევი („ნევთჩი“), ე. ლოგჩევი, გ. ლოგოფეტი (ორივე—მოსკოვის „სპარტაკი“), ვ. ლისენკო („ჩერნომორეცი“), მ. ხურცილავა (თბილისის „დინამო“). ა. შესტერნიოვი (ცსკა);

ნახევარმცველები — კ. ასათიანი (თბილისის „დინამო“), ა. ბოგოვიკი (კიევის „დინამო“), ა. ესკოვი (დონის როსტოვის ასკ), ვ. კალინოვი, ნ. კისელიოვი (ორივე—მოსკოვის „სპარტაკი“), ვ. ლარინი (მოსკოვის „დინამო“), ვ. მუნტიანი (კიევის „დინამო“), ვ. პაპაევი (მოსკოვის „სპარტაკი“), ვ. ხერებრიანიკოვი, ვ. ტროშკინი (ორივე — კიევის „დინამო“);

თავდამსხმელები — ა. ბიშოვეცი (კიევის „დინამო“), გ. ევრიუჟინი (მოსკოვის „დინამო“), ა. ზინჩენკო (დონის როსტოვის ასკ), ვ. კოზლოვი (მოსკოვის „დინამო“), ს. მეტრეველი, გ. ნოდია (ორივე — თბილისის „დინამო“), ნ. ოსიანინი (მოსკოვის „სპარტაკი“), ვ. პორკუიანი („ჩერნომორეცი“), ა. პუზაჩი (კიევის „დინამო“), ი. სტეკოლნიკოვი („ნევთჩი“), ვ. ფედოტოვი (ცსკა), ჯ. ხერხაძე (ქუთაისის „ტორპედო“), ვ. ხმელნიცკი (კიევის „დინამო“).

სსრ კავშირის ნაკრების საბოლოო შემადგენლობა, რომელშიც 22 ფეხბურთელზე მეტი არ უნდა შეევიდეს, მსოფლიო ჩემპიონატის დებულების თანახმად, ფიფა-ს შეჯიბრების დაწყებამდე 8 დღით ადრე უნდა ეცნობოს.

* * *

პრეს-კონფერენციაზე, რომელიც 15 აპრილს გამართა ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ, ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გ. კაჩალინმა ჟურნალისტებს მსოფლიო ჩემპიონატისთვის ნაკრების მზადების დასკვნით ეტაპზე მოუთხრო. 23 აპრილს ლუჟნიკში სსრ კავშირის კლუბების ნაკრები პოლონეთის კლუბების ნაკრებს შეხვდება, 24 აპრილს კი საბჭოთა ქვეყნის უძლიერესი ფეხბურთელები გაფრინდებიან ბულგარეთში, სადაც ორკვირიან შეკრებას გამართავენ მაღალმთიან ოლიმპიურ ბაზა ბელმეკენში (2050 მ ზღვის დონიდან). ამ პერიოდში საბჭოთა ნაკრები რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავს შვეიცარიის, საფრანგეთისა და ბულგარეთის გუნდებთან.

10 მაისს სსრ კავშირის ნაკრები მოსკოვიდან ოკეანის გაღმა გაემართება. 13 მაისს იგი ბოგოტაში კოლუმბიის ერთ-ერთ საკლუბო გუნდთან ითამაშებს, 17 მაისს კი კიტოში ეკვადორის ნაკრებს შეხვდება..19 ან 20 მაისს საბჭოთა ფეხბურთელები მექსიკოში ჩაფრინდებიან.



საყოველთაოდ ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი კარგად თამაშობდა ჭადრაკს და მის თეორიასაც იცნობდა. ახლობლებმა, თანამებრძოლებმა და მეგობრებმა ბევრი მოგონება დაგვიტოვეს ჭადრაკით ვლადიმერ ილიას ძის გატაცების შესახებ.

1908 წლის გაზაფხულზე ლენინი სტუმრად ეწვია დიდ რუს მწერალს მაქსიმ გორკის კუნძულ კაპრიზე (იტალია). თავისუფალ დროს იგი ჭადრაკს თამაშობდა. ეს უნიკალური და ერთადერთი სურათი, რომელზეც ლენინი ჭადრაკის თამაშის დროსაა აღბეჭდილი, მასპინძლის თაოსნობითაა გადაღებული.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი (მარცხნივ) ჭადრაკს ეთამაშება ა. ბოგდანოვს. თამაშს სხვებთან ერთად თვალს ადევნებენ მაქსიმ გორკი და მისი მეუღლე.

ბელადის იუბილეს მიუძღვნეს

ზესტაფონი

ბავშვთა სპორტსკოლის დარბაზში გაიმართა ზონალური პირველობა ფრენბურთში, რომელიც ვ. ი. ლენინის 100 წლისთავს მიეძღვნა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ზესტაფონის, მაიაკოვსკის, წყალტუბოსა და საჩხერის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლების ნაკრები გუნდები. გოგონებში გაიმარჯვეს წყალტუბოელებმა; ჭაბუკთა შორის კი ზესტაფონელებმა.

ა. ბანუბრავა.

აბაშა

აქ გაიმართა მოსწავლეთა რაიონული შეჯიბრება ფრენბურთში, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. ასპარეზობაში მონაწილეობდა 13 გუნდი. ჭაბუკებში ყველას აჯობა 1-ლი საშუალო სკოლის ნაკრებმა. გოგონებში პირველობა არავის დაუთმეს სამეჯოს საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა.

რ. ბანტურია.

გურჯაანი

კოლეგას რვაწლიან სკოლაში დამთავრდა შიდასაკოლექტივო პირველობა ფრენბურთსა და ტყვიის სროლაში. შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. ფრენბურთელ გოგონთა შორის თავი გამოიჩინეს VIII კლასის მოსწავლეებმა, ხოლო ჭაბუკებში გაიმარჯვეს მეშვიდეკლასელებმა. ტყვიის სროლაში I ადგილი დაიკავა ო. მინდიაშვილმა.

* * *

ადგილობრივ სკოლა-ინტერნატში ჩატარდა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები ფრენბურთში, კალათბურთსა და ჭადრაკში. ფრენბურთელთა ასპარეზობაში გაიმარჯვეს მეათეკლასელებმა, კალათბურთში — მეცხრეკლასელებმა. ჭადრაკში სკოლის ჩემპიონი გახდა ო. გუმაშვილი.

ი. ოდიშელიძე.

მაიაკოვსკი

დამთავრდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები თავისუფალ ჭიდაობაში, ჭადრაკსა და შაშში. საშუალო სკოლების გუნდების მოჭიდავეთა ასპარეზობაში პირველობა ობჩელებმა დაისაკუთრეს. 8-წლიან სკოლებს შორის ყველას აჯობეს ფერსათელებმა. მოჭადრაკეთა ტურნირში უძლიერესის სახელი მოიპოვა ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლის გუნდმა. მოშაშეთა შეჯიბრებაში, რომელშიც 8-წლიანი სკოლების კოლექტივები მოხაწილეობდნენ, გაიმარჯვეს სოფელ წყალთაშუას წარმომადგენლებმა.

რ. ენდელაძე,
მაიაკოვსკის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.

გუშინ

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე საკავშირო პირველობის მორიგ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „ა“ კლასის I ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდები — ადგილობრივი „ლოკომოტივი“ და ლენინგრადის „დინამო“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 7:1. ბურთები გაიტანეს ხუციშვილმა (4), მაზიაშვილმა (2), ბაბტაძემ და ლენინგრადელმა სოლოვიოვმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგზადოთ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის!

სიყვარულის ძალე



21-27 აპრილს მოსკოვში გაიმართება წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი საინტერესო შეჯიბრება სასტენდო სროლაში — სსრ კავშირის თასის გათამაშება. იასპარეზებენ მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები. პროგრამაშია პირველ აცდენამდე სროლა, ადგილიდან და მრგვალ სტენდზე ასპარეზობა, ერთდროულად აფრენილ წყვილ სამიზნეებზე შეჯიბრება. მოსკოვის ტურნირი საინტერესო იქნება იმითაც, რომ მესტენდურეებს უმაღლეს დონეზე დავა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადამდე კიდევ მხოლოდ ერთხელ — ქვეყნის პირად-გუნდურ ჩემპიონატში მოუწევთ. ამიტომ ისინი აპრილის ტურნირში შეეცდებიან ძალები შეამოწმონ მომავალი კომპლექსური შეჯიბრებისთვის.

საკავშირო თასის გათამაშებაში მონაწილეობისთვის ზზადების ნიშნით ჩატარდა საქართველოს თასზე შეჯიბრება, რომელიც ვარკეთილში, თბილისის არმიელ მონადირეთა საზოგადოების სასროლეთზე გაიმართა. მოსალოდნელი იყო, რომ სასურველი ჯილდოსთვის ბრძოლაში ჩაებმებოდნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, მახარაძის, წალენჯიხისა და ზუგდიდის გუნდები, რომელთაც ამ სახეობაში თვალსაჩინო ტრადიციები აქვთ. მაგრამ სარბიელზე ვიხილეთ მხოლოდ თბილისის, აჭარის, ზუგდიდისა და მახარაძის კოლექტივები.

მახარაძელებს კარგა ხანია სტენდი დაუნგრიეს, მაგრამ სპორტის ამ სახეობისადმი სიყვარულმა თავისი გაიტანა. ამ ქალაქში ახალი სტენდი შენდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ მალე მახარაძე საქართველოს ნაკრებს კვლავინდებურად აღუზრდის დირსეულ წევრებს.

აფხაზეთის, ქუთაისისა და წალენჯიხის მესტენდურეებმა შეჯიბრებას თავი აარიდეს. აფხაზეთის ფიზკულტურის კომიტეტმა თავი ასე იმართლა: ძლიერმა ქარმა სტენდი დაგვიზიანა და სპორტსმენები ხეირიანად ვერ მოემზადნენო, ქუთაისელები და წალენჯიხელები კი შეჯიბრებაზე კაცმა არ იცის, რატომ არ გამოვიდნენ. საინტერესოა, როგორ ემზადებიან ისინი საქართველოს სპარტაკიადისთვის, რომელიც გაისად გაიმართება?

... საქართველოს მესტენდურეებმა სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის შემდეგ პოზიციები საგრძნობლად დათმეს. სპარტაკიადის ჩემპიონები ადგილიდან სროლაში ბოლო ორ საკავშირო ჩემპიონატში უხეიროდ გამოვიდნენ, შარშან პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადაში კი ჩვენს ნაკრებს ძალიან დაბალი შედეგი ჰქონდა. სპორტსმენთა მაჩვენებლების გაუარესება ამ სახეობისადმი სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების, ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურის კომიტეტების უმეტესობის უზრუნველობის ბრალია. სასტენდო სროლას სათანადო ყურადღებას აქცევენ მხოლოდ არმიელ მონადირეთა საზოგადოება და თბილისის ფიზკულტურის კომიტეტი, რაც რესპუბლიკის თასის გათამაშებამაც დაადასტურა. აღნიშნულს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ძველი თაობის შემცველი ნიჭიერი ახალგაზრდები საკმარისად არ ჩანან. ეს უფრო იმიტომ ხდება, რომ ამ სახეობით სპორტსმენთა დაინტერესებისთვის, ნორმალური სავარჯიშო პირობების შექმნისთვის თითქმის აღარსად ზრუნავენ.

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადამდე წელიწადზე ცოტა მეტი დროა და თუ მონკავშირი, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საბჭოები, ფიზკულტურის კომიტეტები ამ პერიოდს სათანადოდ არ გამოიყენებენ, მოსკოვში ჩვენი მსროლელები მხოლოდ რამდენიმე ჩასათვლელი ქულის მოპოვებას თუ მოახერხებენ.

საქართველოს თასისთვის ბრძოლაში 43 სპორტსმენი ჩაება. მათგან 2 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი იყო, 22 — სპორტის ოსტატი, 5 — ოსტატობის კანდიდატი, სხვები — I და II თანრიგის სპორტსმენები. გუნდებს 4-4 ვაჟი, თითო ქალი და თითო ჭაბუკი გამოჰყავდათ. ქალთა და ჭაბუკთა მაჩვენებლები გუნდების კომპლექსურ ჩათვლაში შედიოდა. ქალები მხოლოდ თბილისის კოლექტივს ჰყავდა — ე. მელიქიშვილი და ვ. ერშოვა. მელიქიშვილი ტოლს ვაჟებსაც არ უდებდა, ერშოვა კი მესამე დღეს შეჯიბრებაზე რატომღაც აღარ გამოცხადდა.

შედეგები უმეტესად უხეირო იყო. მაგალითად თუნდაც ის კმარა, რომ სამი დღის მანძილზე სპორტის ოსტატის მხოლოდ 4 შედეგი აჩვენეს. ამ შედეგების ავტორები არიან: ადგილიდან სროლაში — სპორტის ოსტატი გ. ალავერდოვი (თბილისი), რომელმაც მეორე 100 გასროლით 95 ქულა მოაგროვა; მრგვალ სტენდზე — პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, სპორტის ოსტატი თ. მატოიანი (100-დან 96 ქულა, 200-დან კი 190) და თბილისის რკინიგზის 1-ლი სკოლის მეათეკლასელი, 16 წლის თამაზ იმნაიშვილი. ამ ჭაბუკმა პირველივე დღეს მრგვალ სტენდზე 96 ქულა დააგროვა და ოსტატის ნორმატივი პირველად შეასრულა.

შეჯიბრება პირველ აცდენამდე სროლით დაიწყო. მონაწილეთ 2-2 ცდის უფლება ჰქონდათ. ადგილიდან სროლის პირველი ცდით სოსუმელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი კ. დარასელია (იგი პირად შეჯიბრებაში გამოდიოდა) დაწინაურდა — 13 ქულა. მეორე ცდაზე მან 13 ქულა დააგროვა, მაგრამ საბოლოოდ საუკეთესო 18 ქულით II ადგილზე დარჩა, ვინაიდან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ზ. მაჩხანელმა (თბილისი) მეორე ცდაზე შეუცდომლად 22 სამიზნე გატეხა. III ადგილზეა ა. ბუკია (თბილისი) — 15.

საინტერესოდ წარიმართა შეჯიბრება ტურნირის ძირითად სახეობებში — ადგილიდან და მრგვალ სტენდზე 100 სამიზნეზე სროლაში. პირველ დღეს გუნდური ტურნირები მოეწყო. საუკეთესონი ფინალში გავიდნენ და კიდევ 100-100 სამიზნე მიიღეს. ადგილიდან სროლაში თავიდან მაჩხანელი დაწინაურდა: პირველ სერიაში 22 სამიზნე დაამსხვრია, მეორეში — ყველა, და 50 შესაძლებლიდან 47 ქულით ლიდერი გახდა. მის მთავარ მეტოქეს, დარასელიას 44 (20+24) ქულა ჰქონდა. მაგრამ ვარჯიშის მეორე ნახევარში მაჩხანელს ვეღარ იცნობდით: დანარჩენი 50 შესაძლებლიდან მან მხოლოდ 39 ქულა დააგროვა, დარასელიამ კი 47. ამრიგად, 100-დან 91 ქულით დაწინაურდა დარასელია. მაჩხანელს 86 ქულა დაუგროვდა. მას ქულით გაუსწრო თენგიზ იმნაიშვილმაც.

მეორე 100 სამიზნეზე სროლაში შეუდარებელი იყო ალავერდოვი — 95 ქულა. საბოლოოდ მან 178 ქულა მოაგროვა და II ადგილი მიიპოვა. გამარჯვება დარასელიას დარჩა — 184 ქულა. მაჩხანელს III ადგილს ახალგაზრდა ა. ბუკია (თბილისი) ეცილებოდა: 200 შესაძლებლიდან ორივეს ერთნაირი მაჩვენებელი (173 ქულა) აღმოაჩნდა, მაგრამ ვეტერანის გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა. ამ უკანასკნელმა მეტოქე დამატებით სერიაში დაამარცხა — 23:22.

წყვილ სამიზნეზე სროლაში ყველა საპრიზო ადგილის ბედი დამატებით სერიებში გადაწყდა. ძირითად შეჯიბრებაში მაჩხანელმა და თენგიზ იმნაიშვილმა 25-დან 10-10 წყვილი სამიზნე გატეხეს, დარასელიამ და გ. მეფარიშვილმა (თბილისი, პირადი) — 9-9. დამატებითმა სერიებმა ორივეჯერ უპირატესობა ვეტერანებს მოუტანა. გაიმარჯვა მაჩხანელმა. II ადგილზეა იმნაიშვილი, III — დარასელია.

მრგვალ სტენდზე მსროლელებს უფრო მაღალი შედეგები ჰქონდათ. ქების ღირსია მატოიანი. მან ჯერ პირველ აცდენამდე სროლაში იმარჯვა: პირველი სერია უშეცდომოდ გაიარა, მეორე სერიაში კი მე-12 მფრინავ სამიზნეს ააცდინა, მაგრამ საბოლოოდ 36 ქულა მიიღო. მატოიანმა ი. საიატო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჯიჩვეულობა

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „ფეიქარი" (წულუკიძე) — „იმერეთი" (თერჯოლა) 1:0. მსაჯი გ. ბაჩიაშვილი (თბილისი).

● „ბახმარო" (ჩოხატაური) — „ქართლი" (გორის რაიონი) 1:1. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

● „სამცხე" (აწყური) — ასკ (თბილისი) 1:1. მსაჯი ზ. ნოზაძე (გორი).

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:1. მსაჯი ვ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).

სამტრედიელებს დასაწყისში ჰქონდათ უპირატესობა, შემდეგ კი მდგომარეობა გათანაბრდა, მაგრამ ცოტა ხნით. მერე ინიციატივა ისევ მასპინძლებმა აიღეს ხელთ და ამირანაშვილმა შორიდან უძლიერესი დარტყმით გაიტანა გოლი.

შესვენების შემდეგ სტუდენტებმა რამდენიმე იერიში განახორციელეს და ბერდნიკოვმა შეძლო საპასუხო ბურთის გატანა — 1:1.

მატჩის დასასრულს „ლოკომოტივი" ისევ უტევდა. სტუდენტთა კართან ერთ-ერთმა მცველმა ხელით ითამაშა, რისთვისაც მსაჯმა დანიშნა 11-მეტრიანი. იგი ზუსტად გამოიყენა მანჯგალაძემ.

● „მეხეთი" (ახალციხე) — „ციხისქარი" (სიღნაღი) 0:0. მსაჯი რ. აკოპიანი (ახალციხე).

● „მშენებელი" (ბორჯომი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 0:0. მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი).

გათამაშების ლიდერმა — „მეტალურგმა" მოულოდნელად დაკარგა ქულა, თუმცა მას ამ მატჩში ტექნიკური და ტაქტიკური უპირატესობა ჰქონდა. კარგად, ორგანიზებულად ითამაშა ბორჯომელთა დაცვამ.

● „მზიური" (გალი) — „ვარკეთილი" (გარდაბანი) 1:1. მსაჯი თ. ერგემლიძე (ტყიბული).

● „ისანი" (თბილისი) — „ხალხინო" (გეგეჭკორი) 1:1. მსაჯი ე. ეჯიბია (თბილისი).

ანგარიში გაიხსნა მე-11 წუთზე — ბურთი გაიტანა „ისნის" თავდამსხმელმა გულისაშვილმა. მასპინძლები თამაშობდნენ სწრაფად, მაღალ ტემპში, მაგრამ შემდგომში მათ მოადუნეს იერიშები და საშუალება მისცეს გეგეჭკორელებს გარდატეხა შეეტანათ თამაშში. ამით კარგად ისარგებლა „ხალხინომ" და 65-ე წუთზე ოდიშარიამ გაათანაბრა ანგარიში.

● „ენგური" (ზუგდიდი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 0:2. მსაჯი ა. მურუსიძე (ფოთი).

ცხაკაიელმა ფეხბურთელებმა აღმავლობით ითამაშეს და დაშსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს. პირველად „ენგურის" კარი 26-ე წუთზე აიღო ჭაჩიბაიამ, ხოლო შესვენების შემდეგ დარასელიამ განამტკიცა თავისი გუნდის გამარჯვება.

● „მაღაროელი" (ჭიათურა) — „ხინათლე" (თბილისი) 0:1. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 16 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურგი" (ზესტაფონი)	8	6	2	0	18—5	14
„ფეიქარი" (წულუკიძე)	8	5	1	2	10—6	11
„სკური" (წალენჯიხა)	7	5	0	2	8—5	10
„ლოკომოტივი" (სამტრედია)	8	3	3	2	11—7	9
„მზიური" (გალი)	7	2	5	0	9—5	9
„ისანი" (თბილისი)	7	3	3	1	5—2	9
„ხალხინო" (გეგეჭკორი)	8	2	5	1	8—6	9
„სამცხე" (აწყური)	8	3	3	2	5—6	9
„ეგრისი" (ცხაკაია)	7	3	2	2	9—6	8
ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი)	7	2	3	2	7—6	7
„ხინათლე" (თბილისი)	6	3	1	2	8—8	7
„გიგანტი" (ლაითური)	6	2	3	1	5—5	7
„ვარკეთილი" (გარდაბანი)	8	2	3	3	7—8	7
ასკ (თბილისი)	7	2	2	3	5—6	6
„ციხისქარი" (სიღნაღი)	7	1	4	2	3—4	6
„იმერეთი" (თერჯოლა)	7	1	3	3	7—7	5
„მშენებელი" (ბორჯომი)	6	2	1	3	3—7	5
„ბახმარო" (ჩოხატაური)	8	0	5	3	5—12	5
„მაღაროელი" (ჭიათურა)	6	0	4	2	3—5	4
„ქართლი" (გორის რაიონი)	7	1	2	4	4—12	4
„მეხეთი" (ახალციხე)	7	1	1	5	5—18	3
„ენგური" (ზუგდიდი)	6	0	2	4	3—7	2

კარი ყველასთვის ღია იყო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოწყობილ ტურნირში, რომელიც ბაკურიანში მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების დღეებში ჩატარდა, თბილისის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ლენტეხის, გარდაბნის, წალკის, ახალქალაქის, ასპინძის, ბორჯომის, მესტიის, ამბროლაურის, ონის, ყაზბეგის, ადიგენის, ბოგლანოვკის, დუშეთისა და ცაგერის მოთხილამურეებს უნდა მიედოთ მონაწილეობა.

შეჯიბრების დებულება სტარტზე იწვევდა იმ ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლებს, სადაც სათხილამურო სპორტში განათლების სამინისტროს ბავშვთა სპორტული სკოლები ან ჯგუფებია გახსნილი, აგრეთვე, სხვა თოვლიანი რაიონების სპორტსმენებს. ვფიქრობთ, განათლების სამინისტრომ კარგი საქმე გააკეთა სარბიელზე გამოსვლის უფლება ყველა მსურველს რომ მისცა, მაგრამ ზოგმა ეს არ გამოიყენა. მაგალითად, თბილისის, სამხრეთ ოსეთის, ლენტეხის, გარდაბნის, წალკის, ახალქალაქისა და ასპინძის განათლების განყოფილებებმა ასპარეზობას თავი აარიდეს.

თბილისელები მოზრდილთა რესპუბლიკურ ტურნირებში მუდამ გუნდურ პირველობას ისაკუთრებენ. როგორ აღწევენ ამ წარმატებებს, თუ ბავშვებთან მუშაობა სათანადოდ არაა გაშლილი (რაც მტკიცებას არ საჭიროებს)? არ დაგავიწყდეთ, რომ სათხილამურო სპორტის მოყვარული დედაქალაქის მოსწავლეთა მორისაც ბევრია. ამას თუნდაც ამავე შეჯიბრების მაგალითები ადასტურებს: პირად შეჯიბრებაში რამდენიმე თბილისელი მოსწავლე ჩაება და წარმატებაც მოიპოვა. თბილისის განათლების განყოფილებაში თავს იმით იმართლებენ, რომ ჩვენს ქალაქში თოვლი იშვიათია. რადას იტყვიან სამხრეთ ოსეთის, ლენტეხის, ახალქალაქის, ასპინძისა და სხვა თოვლიანი რაიონების წარმომადგენლები? რატომ არ გამოგზავნეს მათ შეჯიბრებაზე „თოვლიანი" სოფლების სკოლების მოთხილამურეები მაინც? სხვები ხომ სწორედ ასე მოიქცნენ: შუახეველებმა, მაგალითად, აჭარის ღირსების დაცვა ოდალაურის საშუალო სკოლის გუნდს მიანდეს, ამბროლაურელებმა თავიანთი რაიონის სახელით ნიკორწმინდელები გამოგზავნეს, ონელებმა — გლოლელები, დუშეთელებმა — მლეთის სკოლა, ცაგერის რაიონმა — ცხუკუშერელი მოსწავლეები.

მაგრამ, გული რომ გულობდეს... სამხრეთ ოსეთში, ლენტეხში, გარდაბანში, წალკაში, ახალქალაქსა და ასპინძაშიც მოიძებნებიან ბავშვები, რომელთაც სურვილიც აქვთ და უნარიც, რომ თანატოლებს თეთრ ბილიკებზე წელიწადში ერთხელ მაინც შეეჯიბრონ.

კარგად მომზადებული გუნდები მხოლოდ ბორჯომისა და მესტიის რაიონებმა წარმოადგინეს, თუმცა მათაც მხოლოდ თითო სამთომოთხილამურე გოგონა გამოიყვანეს. სხვა კოლექტივებს ამ სახეობაში გოგონები საერთოდ არ ჰყავდათ.

ქების ღირსნი არიან მესტიელი მორბენლები. სწორედ მათი წყალობით იყო, რომ ამ რაიონის წარმომადგენლები საერთო გუნდურ ჩათვლაში დიდხანს ლიდერობდნენ. მათ მხოლოდ ხტომებსა და ორჭიდში შედარებითი წარუმატებლობის გამო ვერ მოიპოვეს საერთო გამარჯვება. და საბოლოოდ 36 საჯარიმო ქულით II ადგილზე გავიდნენ.

ყველას აჯობა ბორჯომის რაიონის (ბაკურიანის სკოლის) გუნდმა — 35 ქულა. მესტიელებმა ოთხიდან 3 ჯერ ტაფეტა მოიგეს, ამას გარდა, რბოლებში 4, სამთო სახეობებში კი 6 საპრიზო ადგილი მოიპოვეს. ბორჯომის რაიონის სპორტსმენებმა სულ 19 საპრიზო ადგილი მოიგეს. III ადგილზეა ამბროლაურის რაიონის კოლექტივი — 61 ქულა.

მეორე ჯგუფში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. დუშეთი — 52 ქულა, 2. ბოგდანოვკა — 55, 3. ცაგერი — 57.

ნათქვამია, გამარჯვებულებს არ ასამართლებენო, მაგრამ სწორედ ამ წარმატების შემდეგ უნდა გუსაყვედურო დუშეთის რაიონის სპორტის მესვეურებს: როგორც ჩანს, ამ რაიონშიც შეიძლება კარგი მოთხილამურეების (თუნდაც, მორბენლების) აღზრდა და გასაკვირია, რომ მოზრდილთა რესპუბლიკურ ჩემპიონატებში მათი სპორტსმენები არ ჩანან.

ბრძოლაში ჩაება 132 ნორჩი მოთხილამურე, რომელთაგან 6 პირველობისრიგოსანი იყო, 20 კი მეორეთანრიგოსანი (სხვებს უფრო დაბალი თანრიგები ჰქონდათ).

ტურნირი ორ ასაკობრივ ჯგუფად (1953-54 და 1955-56 წლებში დაბადებულნი) ჩატარდა და ბევრი ნიჭიერი სპორტსმენიც გამოვლინდა. განსაკუთრებით სასიხარულოა 3×3 კმ-ზე ესტაფეტაში უმცროსი ასაკის დუშელ ჭაბუკთა ტრიოს, აგრეთვე, ა. გაგაძისა და გ. ბურდულის, ყაზბეგელი ვ. ალიბეგაშვილის, ცაგერელი ზ. ყურაშვილის წარმატება. ყველა დანარჩენი საპრიზო ადგილი ერთმანეთში გაინაწილეს ბორჯომის, მესტიის, ბოგდანოვკის, ამბროლაურის რაიონების წარმომადგენლებმა.

სამთომოთხილამურე ვაჟთა პირად ტურნირში შესანიშნავად გამოვიდნენ თბილისელი მოსწავლეები გ. ლომინაძე და გ. ურუშაძე. ლომინაძემ მოიგო სწრაფდაშვება და გიგანტური სლალომი, ხოლო სპეციალურ სლალომში ურუშაძესთან პირველობა გაიყო. ეს უკანასკნელი გიგანტურ სლალომში II ადგილზე გავიდა.

რ. მალრაძე.

ტექნიკური შედეგები

უმცროსი ასაკი

გოგონები: 2 კმ-ზე რბენა. ტ. ტერეზოვა (ბორჯომი) — 11.40, გ. ქოჩქიანი — 12,13, დ. მჭედლიანი (ორივე — მესტია) — 12.29; **ესტაფეტა 3×1 კმ.** ბორჯომი — 41.30, მესტია — 43.03, ბოგდანოვკა — 43,08; **ბიბეები. 3 კმ-ზე რბენა.** ა. რატიანი (მესტია) — 15.56, ალიბეგაშვილი (ყაზბეგი) — 19.00, ა. მოროზოვი (ბორჯომი) და ბურდული (დუშეთი) — ორივე — 19.40; **ესტაფეტა 3×3 კმ.** მესტია — 55.15, ბორჯომი — 1:01.30, დუშეთი — 1:02.57; **სპეციალური სლალომი.** ურუშაძე, ლომინაძე (ორივე — თბილისი, პირადი) — ორივე — 1.21,9, ს. მიქაბერიძე (ბორჯომი) 1.22,5; **გიგანტური სლალომი.** ლომინაძე — 1.23,4, ურუშაძე — 1.24,7, ა. ჩართოლანი (მესტია) — 1.32,2; **სწრაფდაშვება** (ორივე ასაკისთვის). ლომინაძე — 1.24,8, გ. ფანჯაკიძე (ბორჯომი) — 1.25,0, გ. ღარიბაშვილი (მესტია) — 1.25,2; **25-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა.** ფ. ქუმარიტაშვილი — 196,6 ქულა, ა. ბარაკანი — 172,8, ბ. ზანგიევი (ყველა — ბორჯომი) — 160,1.

უფროსი ასაკი

გოგონები. 2 კმ-ზე რბენა. ლ. მაკიევა (ბორჯომი) — 17.43, ყურაშვილი (ცაგერი) — 18,29, მ. კობახიძე (ამბროლაური) — 19.30; **ესტაფეტა 3×3 კმ.** მესტია — 1:05.54, ბორჯომი — 1:12.24, ამბროლაური — 1:13.04; **სპეციალური სლალომი.** დ. ბაკაევა (ბორჯომი) — 1.32,0, ზ. რატიანი (მესტია) — 1.40,3; **გიგანტური სლალომი.** რატიანი — 1.49,0, ბაკაევა — 1.59,8; **ბიბეები. 5 კმ-ზე რბენა.** ა. ფილიევი (ბორჯომი) — 19.50, უ. ჯაფარიძე (მესტია) — 23.57, გაგაძე (დუშეთი) — 24.58; **ესტაფეტა 3×5 კმ.** მესტია — 1:25.41, ბორჯომი — 1:25.56, ამბროლაური — 1:34.58; **სპეციალური სლალომი.** გ. ფანჯაკიძე, რ. გავა — ორივე — 1.18,2, გ. ოგანეზოვი (ყველა — ბორჯომი) — 1.20,4; **გიგანტური სლალომი.** ღარიბაშვილი — 1.42,2, ოგანეზოვი — 1.44,1, ა. ნავერიანი (მესტია) — 1.46,3; **25-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა.** ვ. მიქაბერიძე — 197,3 ქულა, ჯ. ბაკაევი (ორივე — ბორჯომი) — 179,1, თ. ფარჯიანი (მესტია) — 175,5; **ორჭიდი** (5 კმ-ზე რბენა და ხტომა). ფარჯიანი — 415,5, ბაკაევი — 410,1, მიქაბერიძე — 402,93.

ხურათზე: გ. ლომინაძე გიგანტური სლალომის ტრასაზე.
ფოტო ო. გელაშვილისა.

მინდორზე — ჭაბუკები

გრძელდება „ა" და „ბ" კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფებისა და სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების რესპუბლიკური ტურნირი. მოგვყავს ჩატარებულ შეხვედრათა ანგარიშები:

I ქვეჯგუფი

„სპარტაკი" (ცხინვალი) — „მერცხალი" (მახარაძე) 2:0, „განთიადი" (თბილისი) — „დინამო" (თბილისი) 1:1, მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) — „კოლხეთი" (ფოთი) 1:1, „ლოკომოტივი" (თბილისი) — „მეშახტე" (ტყიბული) 3:0, მწვრთნელთა სკოლა — „სპარტაკი" (ცხინვალი) 1:0, „ლოკომოტივი" (თბილისი) — ახალგ. საფეხბ. სკოლა (გაგრა) 0:4, „კოლხეთი" — „ლოკომოტივი" (თბილისი) 3:0, „მერცხალი" — „განთიადი" 0:4, „ალაზანი" — „სპარტაკი" (ცხინვალი) 2:0, „დინამო" (ბათუმი) — ახალგ. საფეხბ. სკოლა (გაგრა) 2:2.

გაგრელ ფეხბურთელებს მოგება ჩაეთვალათ „ალაზანთან", ხოლო თბილისის „დინამოს" — „მერცხალთან" და მწვრთნელთა სკოლის გუნდთან.

II ქვეჯგუფი

„დინამო" (სოხუმი) — „სულორი" (ვანი) 1:0, „შრომითი რეზერვები" (თბილისი) — ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) 0:2, „მეტალურგი" (რუსთავი) — „კახეთი" (თელავი) 3:0, განათლების განყოფილება (თბილისი) — „დილა" (გორი) 6:0, „ინტერნატი" (თბილისი) — ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) 0:0, „დილა" (გორი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:2, „მეტალურგი" — „შრომითი რეზერვები" 2:0, „კახეთი" — განათლების განყოფილება 0:2, „ინტერნატი" — „მეტალურგი" 0:0, ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) — „გურია" (ლანჩხუთი) 1:0, „სულორი" — „შრომითი რეზერვები" 1:1, „ტორპედო" (ქუთაისი) — „დინამო" (სოხუმი) 4:0.

„კახეთს" მოგება ჩაეთვალა „სულორთან", ხოლო თბილისის განათლების განყოფილების გუნდს — სოხუმის „დინამოსთან".

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 15 აპრილისთვის

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ახალგ. საფეხბ. სკ. (გაგრა)	7	5	2	0	18—4	12
„დინამო" (თბილისი)	7	4	3	0	9—2	11
„განთიადი" (თბილისი)	6	4	1	1	16—2	9
„კოლხეთი" (ფოთი)	6	4	1	1	11—3	9
„დინამო" (ბათუმი)	5	3	2	0	13—4	8
მწვრთ. სკოლა (თბილისი)	6	2	2	2	6—4	6
„ლოკომოტივი" (თბილისი)	6	2	1	3	5—9	5
„ალაზანი" (გურჯაანი)	6	1	0	5	4—11	2
„მერცხალი" (მახარაძე)	6	1	0	5	6—14	2
„სპარტაკი" (ცხინვალი)	7	1	0	6	2—11	2
„მეშახტე" (ტყიბული)	6	1	0	5	3—22	2

II ქვეჯგუფი

განათლ. განყ. (თბილისი)	6	5	1	0	15—0	11
ახალგ. საფეხბ. სკ. (თბილისი)	6	5	1	0	9—0	11
„მეტალურგი" (რუსთავი)	6	4	2	0	9—2	10
„ინტერნატი" (თბილისი)	6	4	2	0	8—3	10
„ტორპედო" (ქუთაისი)	6	4	0	2	16—3	8
„დინამო" (სოხუმი)	7	2	1	4	4—7	5
„კახეთი" (თელავი)	7	2	1	4	3—14	5
„დილა" (გორი)	6	2	0	4	8—14	4
„შრ. რეზერვები" (თბილისი)	7	1	1	5	4—11	3
„სულორი" (ვანი)	6	0	1	5	3—13	1
„გურია" (ლანჩხუთი)	5	0	0	5	1—13	0

ნორჩ მეგობარობა შეხვედრები

სოხუმის ბავშვთა სპორტსკოლის ნორჩ ფეხბურთელებს დიდი ხნის მეგობრობა აქვთ მოსკოვის „ლოკომოტივის" სპორტსმენებთან და ტრადიციულ, ამხანაგურ შეხვედრებს აწყობენ მათთან.

ამას წინათ სოხუმს ეწვივნენ მოსკოვის „ლოკომოტივის" ნორჩი ფეხბურთელები. უმცროსი ასაკის ბავშვთა გუნდების ორივე შეხვედრა მოიგეს სოხუმელებმა — 2:0 და 2:1. უფროსი ასაკის გუნდებში მასპინძლებმა მოიგეს პირველი მატჩი (4:0), მეორე კი ფრედ დაამთავრეს — 1:1.

სოხუმელები საპასუხო ვიზიტით მოსკოვს აგვისტოში ჩავლენ.

ბ. იაშვილი.

სოხუმი.



სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

მაინც თავიანთი გაიტანეს

კიევი, 15 აპრილი. ერთდღიანი შესვენების შემდეგ დღეს აქ განახლდა კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩები. 17 ტურმა მორიგი ქულა მოუტანა გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს — მოსკოვის ოლქის „სპარტაკს". მან საკმაოდ იოლად დაამარცხა მოსკოვის „დინამო" — 73:54. 19 ქულა დამაჯერებელი სხვაობაა, მაგრამ ლიდერს პირველ ტაიმში ასეთ დიდ უპირატესობაზე ფიქრიც არ შეეძლო. დინამოელებმა პირველ 20 წუთში არაფერი დაუთმეს მეტოქეებს და მხოლოდ შესვენების შემდეგ უფრო გამოცდილმა სპარტაკელებმა ბოლოს და ბოლოს თავიანთი გაიტანეს.

სამაგიეროდ, სვერდლოვსკის „ურალმაშისა" და ვილნიუსის „კიბირკშტისის" შეხვედრაში მძაფრი ბრძოლა ბოლომდე არ განელებულა. ლიტველები, რომლებიც ბოლო მატჩებში აღმავლობით თამაშობენ, ამჯერად დამარცხდნენ — 54:55.

საინტერესო გამოდგა აუტსაიდერთა კვარტეტის ორი წევრის — კიევის „დინამოსა" და კაუნასის „პოლიტექნიკას" ორთაბრძოლა. დინამოელებს პრინციპულ დავაში, როგორც ჩანს, საკუთარი კედლებიც დაეხმარნენ — 80:74.

კიევის ტურის მატჩები ხვალ დამთავრდება.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 აპრილისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი)	15	12	3	931—852	12
„კიბირკშტისი" (ვილნიუსი)	15	10	5	859 791	10
„ურალმაში" (სვერდლოვსკი)	15	10	5	931—875	10
„დინამო" (მოსკოვი)	15	8	7	907—884	8
„დინამო" (კიევი)	15	5	10	886—941	5
„პოლიტექნიკა" (კაუნასი)	15	4	11	831—935	4



ეიძლება თუ არა, ერთმა კაცმა შეცვალოს გუნდი? ობიექტურად ასეთი რამ შეუძლებელია. ისე კი, რიგის ტტტ-ს ცენტრალური თავდამსხმელი უ. სემიონოვა ერთი გამართული გუნდის ფასად ღირს. სემიონოვას კალათბურთისთვის ფენომენალური მონაცემები აქვს: მაღალია, სწრაფი, თავისი კონსტრუქციისთვის მოქნილი და, რაც მთავარია, ბრძოლის მოყვარული. ერთი სიტყვით, თუ გიჭირს, უკეთეს შველას ვერც ინატრებ. მაგრამ ეს კია: სემიონოვას ნიჭი მხოლოდ ლატვიის გუნდს არგია, დანარჩენებისთვის კი გიგანტი რიგელი ნამდვილი რისხვაა.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებთან მატჩში სემიონოვა თავდაპირველად დასვენეს თბილისელებმა უმალ ხელთ იგდეს ინიციატივა და დაწინაურდნენ. ტტტ-ს მწვრთნელი რ. კარნიტისი მალე დარწმუნდა, რომ ექსპერიმენტი ცუდად მეიძლებოდა დამთავრებულიყო და გაჭირვების ძველ ტალკვესს მიმართა. სემიონოვა თამაშში ჩაება და საქმეც გამოკეთდა, მოდი და ამის შემდეგ ნუ იტყვი, რომ ერთი კაცი ზოგჯერ მთელი გუნდია.

სურათზე: სემიონოვა თბილისელთა ამაო გარემოცვაში.

ფოტო ა. საკოვისა.

ვერცხლის ჯილდოები

ესტონეთის ქალაქი ვილიანდი იღბლიანი გამოდგა საქართველოს ფრენბურთელი გოგონებისთვის. 1964 წელს მათ აქ ვერცხლის მედლები მოიპოვეს საკავშირო შეჯიბრებაში. და აი, წლეულს ეს წარმატება ისევ გაიმეორეს. მოგაგონებთ, რომ 1965 წლიდან ისინი ორჯერ X ადგილზე იყვნენ, ერთხელ — VI, ერთხელ კი VIII ადგილზე.

ფინალურ შეჯიბრებას წინ უსწრებდა ზონებში ასპარეზობა. თბილისის განათლების განყოფილების გუნდი წარმატებით გამოვიდა ურალსკში და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

ვილიანდში თბილისელმა მოსწავლეებმა ერთნაირი ანგარიშით (3:0) დაამარცხეს ლიტვის, ჩელიაბინსკის, მინსკისა და ცსკა-ს გუნდები, ანგარიშით 3:1 მოუგეს ოდესელ თანატოლებს და 3:2 — ვორონეჟის წარმომადგენლებს. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ისინი ლენინგრადელებს შეხვდნენ. გამარჯვება და I ადგილი ამ უკანასკნელთ დარჩათ — 3:1.

საუკეთესო მცველისთვის განკუთვნილი სპეციალური პრიზი ხვდა თ. გულისაშვილს. თავდასხმაში კარგად თამაშობდნენ მ. კურიტიდი და ვ. თოფურიძე. ადგილობრივმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მრავალ სხვა პრიზს შორის დააწესეს ჯილდო ყველაზე კორექტული მწვრთნელისთვისაც. ეს პრიზი დაისაკუთრა თბილისელ მოსწავლეთა აღმზრდელმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ს. ტარახჩიანმა.

სალვადორელები გაიფიცნენ

დიდი აურზაური გამოიწვია სალვადორელ ფეხბურთელთა ამასწინანდელმა თავისებურმა გაფიცვამ. ნაკრების მოთამაშეებმა, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის წინა შეკრებაზე იყვნენ, მოულოდნელად მიატოვეს ბაზა, სადაც არც ერთი ფეხბურთელი არ დარჩენილა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთი უურნალისტის ცნობით, სალვადორელები საერთოდ ალარ აპირებდნენ ეთამაშათ მსოფლიო ჩემპიონატში. რაშია საქმე?

როგორც გაფიცულებმა განაცხადეს, მათთვის არ მიუციათ ის ფულადი ჯილდოები, რომლებიც ეკუთვნოდათ როგორც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებებში გამარჯვებულებს. დაპირება დაპირებას მოსდევდა, მაგრამ სალვადორის ფეხბურთის ფედერაცია თანხის გადებისგან თავს იკავებდა.

ხანგრძლივი თათბირის შემდეგ გადაწყდა მოთხოვნის დაკმაყოფილება. ახლა მოთამაშეები ბაზას დაუბრუნდნენ და ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში ჩადგა.

პელეს გუნდმა — 1:5

ასეთი სასტიკი მარცხი იგემა ბრაზილიის პირველმა ნაკრებმა საწვრთნელ მატჩში ამ ქვეყნის მეორე ნაკრებთან.

პირველი ნაკრებიდან ერთადერთი გოლი გაიტანა პელემ. მეორე ნაკრებს დიდი უპირატესობა ჰქონდა, რაც 5 გოლით გამოიხატა. 3 მათგანის ავტორია დარიო, თითოსა — რიველინო და ტოსტაო.

მიმომხილველთა აზრით, ტოსტაომ ახლა მთლიანად აღიდგინა საბრძოლო ფორმა.

„ევერტონი" — ჩემპიონი

ხანგრძლივი ბრძოლა ფეხბურთში ინგლისის ჩემპიონობის ორ პრეტენდენტს — „ევერტონსა" და „ლიდს იუნაიტედს" შორის დამთავრდა. „ევერტონმა" დაამარცხა „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" (2:0) ღა, დარჩენილი 2 მატჩის მიუხედავად, 63 ქულით გაიმაღლა I ადგილი. II ადგილი ასევე განაღდებული აქვს „ლიდს იუნაიტედს".

ლივერპულის „ევერტონმა" მეშვიდედ მოიპოვა ინგლისის ჩემპიონობა და ამით ეროვნული რეკორდი დაამყარა. აქამდე 6-ჯერ იყვნენ ჩემპიონები „არსენალი" (ლონდონი), „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ლივერპული".

სახიფათო ზონაში

თბილისი. საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის საცურაო აუზი. 14 აპრილი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ბურევესტნიკი" (თბილისი) — 4:4 (2:3, 0:1, 1:0, 1:0).

„ლოკომოტივი": აბრამკინი, ცხოიძე, ლეპიოშკინი, ბატურინი, არუთინოვი, მარგიევი, შაშკინი, ჩუბინიძე, გოგუაძე, ლორთქიფანიძე, შატალინი.

„ბურევესტნიკი": მალანია, დოლგოვი, ლობუანიძე, როდინი, ბერიძე, სეროფიანი, მეტრეველი, ვორონინი, მოშიაშვილი, ლებედევი, იოსელიანი.

მსაჯი ვ. პაშკინი (ლენინგრადი).

„ა" კლასის II ჯგუფის წყალბურთელთა საკავშირო ასპარეზობის პირველი წრე ფინიშის სწორზე გავიდა. დარჩა 3 ტური, მაგრამ გათამამების ლიდერები და აუტსაიდერები უკვე გამოვლინდნენ. ლიდერთა სამეულში არიან მოსკოვის ოლქის „დინამო", ვოლგოგრადის „სპარტაკი" და ხარკოვის „დინამო", ხოლო აუტსაიდერებში — კიევის „ბურევესტნიკი" და ასტრახანის „სპარტაკი". თბილისის გუნდები „ლოკომოტივი" და „ბურევესტნიკი" სახიფათო ზონაში მოხვდნენ. რომ არაფერი ვთქვათ თბილისელ სტუდენტებზე, რომლებიც ვერასაზით ვერ შეგუებიან „ა" კლასის ამ ჯგუფს, საგანგაშო მდგომარეობა შეექმნათ ლიგის ძველ ბინადრებს — ლოკომოტიველებსაც.

შარშანდელ ჩემპიონატში, რომელიც ასევე თბილისში ჩატარდა, „ლოკომოტივმა" მხოლოდ 3 ქულა დაკარგა და მოსკოველ თანაკლუბელებთან ერთად სათავეში მოექცა გათამაშების ცხრილს. მეორე წრეში მან დაკარგა სიმშვრით მოპოვებული ქულები, საბოლოოდ VII ადგილზე დარჩა და ძლივს გადაურჩა დაბალ ჯგუფში გადასვლას.

დღევანდელი მეტოქეების შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა — ორივე გუნდს ჰაერივით სჭირდებოდა მოგება.

ცენტრში ბურთს რკინიგზელები დაეუფლნენ, მაგრამ შეტევა ვერ დააგვირგვინეს. და როცა მსაჯმა შაშკინი გააძევა, რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენილმა ლოკომოტიველებმა აქტიურად ითამაშეს და მარგიევმა შორიდან გახსნა ანგარიში. მალე სეროფიანმა ასუფე შორიდან წონასწორობა აღადგინა.

სტუდენტები ხშირად ცვლიან მოთამაშეებს, მაგრამ ეს საქმეს არ შველის: შაშკინმა დაწინაურა რკინიგზელები. მერე კი, მე-4 წუთზე, მოშიაშვილმა ცხოიძესთან ორთაბრძოლაში კვლავ გაათანაბრა ანგარიში. მსაჯმა მეორედ გააძევა შაშკინი. სტუდენტებმა სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს და მეტრეველმა იერ გოლით დააგვირგვინა.

მეორე პერიოდში სტუდენტებმა კიდევ ერთი ბურთით გაზარდეს ანგარიში (იოსელიანი).

მესამე პერიოდში ლოკომოტიველებმა შეუპოვრად შეუტიეს მეტოქის კარს. დაცვაში ბერიძე შეცდა და. გუგუაძემ შესანიშნავად გამოიყენა გოლის გატანის შესაძლებლობა. მეტრეველმა რამდენიმეჯერ ძლიერად დაარტყა კარში, მაგრამ აბრამკინმა ყველა ბურთი მოიგერია. რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო მალანიამაც.

მეოთხე პერიოდში სტუდენტებს დაღლილობა დაეტყოთ, შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ და პერიოდის მიწურულს არუთინოვმა, რომელიც ამ დღეს საუკეთესო იყო, წონასწორობა აღადგინა.

ვ. ბარნაბიშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

* * *

14 აპრილის საღამოს გაიმართა კიდევ ერთი შეხვედრა: მოსკოვის „ბურევესტნიკი" — მინსკის „ბურევესტნიკი". ეს მატჩიც ფრედ დამთავრდა — 5:5.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 ტურის შემდეგ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (მოსკოვის ოლქი)	6	6	0	0	25—15	12
„სპარტაკი" (ვოლგოგრადი)	6	4	1	1	26—23	9
„დინამო" (ხარკოვი)	6	4	0	2	31—21	8
„დინამო" (ლვოვი)	6	3	0	3	28—19	6
„ბურევესტნიკი" (მოსკოვი)	6	2	2	2	24—24	6
„ბურევესტნიკი" (მინსკი)	6	2	2	2	20—20	6
„ლოკომოტივი" (თბილისი)	6	2	1	3	30—33	5
„ბურევესტნიკი" (თბილისი)	6	1	3	2	18—22	5
„ბურევესტნიკი" (კიევი)	6	1	0	5	21—37	2
„სპარტაკი" (ასტრახანი)	6	0	1	5	17—26	1

რედაქტორი მ. კაკაბაძე

23, 24 და 25 აპრილს

თბილისის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის შენობაში (ორჯონიკიძის ქ. № 52-ა) 10 საათიდან იწარმოებს ქალაქის ფეხბურთის მწვრთნელთა ატესტაცია, სადაც სპეციალურად გამოყოფილი კომისია დაადგენს მოქმედ მწვრთნელთა კატეგორიებს.

ატესტაციის გამვლელმა მწვრთნელებმა თან უნდა იქონიონ სათანადო დოკუმენტაცია, საბუთები.

საატესტაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან სპორტის დამსახურებული ოსტატები ბ. პაიჭაძე, ა. გალპერინი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნ. ჩხატარაშვილი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლ. ჩხაიძე, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. დვალი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ბ. თავართქილაძე, ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრის გამგე გ. ბაქანიძე, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე მ. მაჩაბელი და სხვ.

რეკორდები

ნოვოსიბირსკი, 15 აპრილი. სსრ კავშირისა და გდრ-ის მოცურავეთა მატჩის ბოლო დღეს მოსკოველმა ვ. კრავჩენკომ ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 2.13,0. ფ. ვიგანდის (გდრ) ძველი რეკორდი 0,5 წამით გაუმჯობესდა.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. УЭ 04235